



ქვეყნის კეთილდღეობაზე გრუნვა ბავშვის
ადრეულ ასაკში ინვესტიციით იწყება



საქართველოს
პარლამენტი



ბავშვთა სიღარიბის შემცირება

- საქართველოში 2009-2011 წლებში სიღარიბე შემცირდა. ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ შინამეურნეობათა რაოდენობა შემცირდა 2 პროცენტული ერთეულით – 24-დან 22 პროცენტამდე. ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების პროცენტული რაოდენობა კი შემცირდა 3 პროცენტული ერთეულით - 28-დან 25 პროცენტამდე.
- მიუხედავად ამისა, სიღარიბის შემცირების დონე არ შეესაბამებოდა ეკონომიკის სწრაფ ზრდას უკანასკნელი წლების მანძილზე. ქვეყანაში ყველაზე დიდი ეკონომიკური ზრდის პერიოდშიც კი (2003–2009 წ.წ.), საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლის კლების ძალზე დაბალი ელასტიურობა დაფიქსირდა (2.1), ანუ ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების 1%-იანი ზრდის ფონზე უკიდურესი სიღარიბის საერთო მაჩვენებელმა მხოლოდ 2.1%-ით დაიწია. შედარებისათვის, განვითარებადი ქვეყნების სიღარიბის კლების ელასტიურობა 1.5–დან 5 ერთეულამდეა, ხოლო საშუალო მაჩვენებელი კი დაახლოებით 3–ია.¹
- საქართველოს უთანასწორობისა და სიღარიბის მაჩვენებლები ერთ–ერთი ყველაზე მაღალია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ–ს ქვეყნების რეგიონში.
- ბავშვთა სიღარიბე უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ჯგუფებისა.
- 77 000 ბავშვი მოიხმარს დღეში 2 ლარზე ნაკლებს, ხოლო 205 000 – კი 3 ლარზე ნაკლებს.
- ბავშვები არასაკმარისად არიან მოცული არსებული სოციალური დაცვის სისტემების მიერ.
- უფრო მეტი უნდა გაკეთდეს – აუცილებელია დამატებითი ინვესტიციები ყველაზე მოწყვლადი ბავშვების დასაცავად.

სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული საჯარო პოლიტიკის ალტერნატივები, განსაკუთრებული აქცენტით ბავშვთა სიღარიბეზე

გამოთვლების შედეგების თანახმად:

¹ საქართველოში სიღარიბის დინამიკა, მსოფლიო ბანკი, 2011 წ.

- პენსიების ზრდას ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 7,7 პროცენტამდე და ფარდობითი სიღარიბე - 25-დან 23 პროცენტამდე უნდა შემცირდებინა.
- თუ მთავრობა მიზნობრივ სოციალურ ფულად დახმარებას 50 პროცენტით გაზრდის (პენსიების ზრდასთან ერთად), ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 6,6 პროცენტამდე, ხოლო ბავშვთა ფარდობითი სიღარიბე 25-დან 21 პროცენტამდე შემცირდება.
- თუ მთავრობა მიზნობრივ სოციალურ ფულად დახმარებას 100 პროცენტით გაზრდის (პენსიების ზრდასთან ერთად), ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 6 პროცენტამდე, ხოლო ბავშვთა ფარდობითი სიღარიბე 25-დან 18 პროცენტამდე შემცირდება.
- თუ მთავრობა მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციართა რაოდენობას გაზრდის (შინამეურნეობები, რომელთაც რეგისტრაციისათვის მიმართეს მონაცემთა ბაზას) ზღვრული სარეიტინგო ქულის აწევის გზით (პენსიების ზრდასთან ერთად), ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 7,1 პროცენტამდე, ხოლო ბავშვთა ფარდობითი სიღარიბე 25-დან 21 პროცენტამდე შემცირდება.
- თუ მთავრობა შემოიღებს ბავშვთა საყოველთაო შეღავათს 0-16 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე თვეში 30 ლარის ოდენობით (პენსიების ზრდასთან ერთად):
 - ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 3,9 პროცენტამდე შემცირდება.
 - ბავშვთა ფარდობითი სიღარიბე 25-დან 15 პროცენტამდე შემცირდება.
 - პროგნოზის თანახმად, ბავშვების 60 პროცენტი უკიდურეს სიღარიბეს დააღწევს თავს.
 - პენსიონერთა უკიდურესი სიღარიბე 8,1-დან 2 პროცენტამდე შემცირდება.

სხვადასხვა მოდელის ზღვრული ხარჯების შედარება ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის ერთი პროცენტული ერთეულით შემცირებისას

საჯარო პოლიტიკის ალტერნატივა	ზღვრული ხარჯი (მილიონი ლარი)	ბავშთა უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლების ცვლილება (არსებულ მაჩვენებელს (9.4) გამოკლებული მოდელირებული მაჩვენებელი)	ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის ერთი პროცენტული ერთეულით შემცირების ზღვრული ხარჯი (პენსიების დამატებითი ხარჯი გათვალისწინებულია მთლიან ხარჯში)
პენსიის ზრდა	26.00	1.7	15.29
მიზნობრივი სოც. დახმარების ზრდა 50%-ით	5.50	2.8	11.25
მიზნობრივი სოც. დახმარების ზრდა 100%-ით	11.00	3.4	10.88
მიზნობრივი სოც. დახმარების ზღვრული ქულის გაზრდა 100 000-მდე	18.50	3.5	12.71

(მეტი ბენეფიციარი)			
ბავშვთა საყოველთაო შეღვათის შემოღება –თვეში 30 ლარის ოდენობით	25.00	5.5	9.27
ბავშვთა საყოველთაო შეღვათის შემოღება –თვეში 20 ლარის ოდენობით	18.50	4.8	9.27
ბავშვთა საყოველთაო შეღვათის შემოღება –თვეში 15 ლარის ოდენობით	12.50	4.2	9.17

კვლევის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

http://www.unicef.ge/uploads/UNICEF_Child_PovertyGEO_web_with_names.pdf